ხელშეკრულება №56
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. გორი **2023 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ ს/კ 417874973 (შემდგომში – შემსყიდველი),წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბასილიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ელ-ვი 2020” (ს/კ 417895683) (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ვილაიათ ბაირამოვის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ***ხელშეკრულების საგანი***

1.1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“–ს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით პოლიეთილენის პარკები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისათვის (GPV19600000),სამუშაო ხელთათმენების (GPV18100000), პირადი ჰიგიენის საშვალებების (GPV33700000) , ავეჯის აქსესუარების GPV39200000),ქსოვილის ნივთების (GPV39500000) და საწმენდი საპრიალებელი პროდუქციის (GPV39800000) გამარტივებული შესყიდვა მოთხოვნის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1.შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

2.2.შესყიდვის ობიექტის დასახელება მოცემულია დანართი 1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 497.10 (ოთხასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და ათი თეთრი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მოახდინოს დროული მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი, სამეფოს ქ.43.

4.3.შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);

6.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.

6.3.ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი. გურამიშვილის ქ.5.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;

8.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულე.ბლობით;

8.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5 ხელშეკრულებით გათვალ;ისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა

ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო .ღირებულების 0,02 %-ს ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

11.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

121.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1.შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება.ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი მერაბ მერაბიშვილი.

13.2..შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

13.3.გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

14. სხვა პირობები

14.1.მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.5.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. **მხარეთა რეკვიზიტები:**

„შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”	შპს „ელ-ვი 2020”
მისამართი გორი, გურამიშვილის ქ. № 5	მისამართი გორი სამეფოს 43
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა	საბანკო რეკვიზიტები სს „თიბისი ბანკი“
ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973	ბანკის კოდი TBCBGE22
	ანგარიშის ნომ.GE22TB7264936020100004
	ს/ნ 417895683
დირექტორი გიორგი ბასილიძე	დირექტორი ვილაიათ ბაირამოვი

Giorgi Basilidze 59001084953 Digitally signed by Giorgi Basilidze Date: 2023.06.08 14:33:51

Vilaiat Bairamovi 59001095560 Digitally signed by Vilaiat Bairamovi Date: 2023.06.08 14:40:12

საქონლის დასახელება **დანართი 1**

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ.ფასი	საქონლის ფასი	cpv კოდი
1	სახეხი	ცალი	4	1.30	5.20	39224300
2	მინის საწმენდი ტილი	ცალი	8	1.50	12	39525800
3	იატაკის საწმენდი ტილო	ცალი	4	5	20	39525800
4	სიფ.კრემი	ცალი	6	3.50	21	39831000
5	აპარატის ხელის საწმენდი ხელსახოცი	ცალი	15	1.90	28.50	33764000
6	მინის საწმენდი სითხე	ცალი	5	3	15	39831000
7	ხელთათმანი რეზინის	ცალი	6	2	12	18141000
8	ხელთათმანი რეზინის	ცალი	2	5	10	18141000
9	პარკი სანაგვე 160 ლ.	ცალი	8	7	56	19640000
10	პარკი სანაგვე 30 ლ.უთასმო	ცალი	12	2.50	30	19640000
11	სარეცხის საპონი 72%	ცალი	6	1.20	7.20	33711900
12	ტუალეტის ქაღალდი დელფინი(40 ც-ანი)	შეკვრა	4	20	80	33761000
13	ხელის საპონი	ცალი	36	0.80	28.80	33711900
14	ტუალეტის ქაღალდი ასფურცელა(48 ც-ანი)	ცალი	4	33.60	134.40	33761000
15	პერსილი 10კგ.უნივერსალი	ცალი	1	37	37	39831000
	სულ				**497.10**	

„შემსყიდველი“ **„ მიმწოდებელი“**

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი”

შპს „ელ-ვი 2020”

დირექტორი გიორგი ბასილიძე

დირექტორი ვილაიათ ბაირამოვი